

ს/ს 010320000.35.107.016307
პ/თ 23.01.2018



საქართველო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აგმაშენბელის ქ. №1
☎ 0(417) 22-01-28.

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council

5000 Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
☎ 0(417) 22-01-28.



დადგენილება № 4

2018 წლის 18 იანვარი
დ. ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტისა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო საწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

განისაზღვროს და დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აგვისტოს N28 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	საშტატო რიცხოვნობა
პოლიტიკური თანამდებობის პირი			
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350	
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1100	
I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)			
6	საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1300	1
II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)			
7	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1100	1
8	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1100	1
9	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1100	1
10	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი	1100	1
III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
11	საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900	2
12	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900	1
13	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900	1
14	საკრებულოს აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო,	900	1

	აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი		
IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)			
15	საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	650	1
სულ			11